ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 249

"16" აგვისტო 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №64-74-ის მიმდებარედ არსებული 3190 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.002.622) 25 კვ.მ. ფართობის და 19 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით სს „ლიბერთი ბანკისთვის" (ს/ნ: 203828304) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №64-74-ის მიმდებარედ არსებული 3190 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.002.622) 25 კვ.მ.ფართობის და 19 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით სს „ლიბერთი ბანკისთვის" (ს/ნ: 203828304) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №19.802.1012 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №64-74-ის მიმდებარედ არსებული 3190 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.002.622) 25 კვ.მ. ფართობის და 19 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით სს „ლიბერთი ბანკისთვის" (ს/ნ: 203828304) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**